Hidro Protect | 07/2017

Knauf Hidro Protect

ლატექსის ჰიდროიზოლაცია

აღწერა. უპირატესობები.

Knauf Hidro Protect წარმოადგენს სინთეთიკური ლატექსის და ინერტული შემავსებლების ცისფერი ფერის წყლის დისპერსიას, რომელიც გამოიყენება ფართებში კედლების და იატაკის ზედაპირების ჰიდროიზოლაციისთვის. არ შეიცავს გამხსნელებს.

უპირატესობები:

- მზად არის გამოყენებისთვის
- მცირე ხარჯი
- გააჩნია მაღალი ადჰეზია
- ელასტიფიცირებულია
- წყალმედეგი
- გააჩნია ორთქლშეღწევადობა
- სწრაფად შრება
- ადვილი დატანა
- ეკოლოგიურად უსაფრთხო

გამოყენების სფერო

- ტენიანი და ნესტიანი ფართების, მაგალითად, აბაზანების, საშხაპეების და სხვ. ჰიდროიზოლაცია.
- ტენის მიმართ მგრძნობიარე საფუძვლების (თაბაშირის ბათქაში, თაბაშირმუყაოს და თაბაშირბოჭკოს ფილები, თაბაშირის მოჭიმვა, ბლოკი, ფილა და ა. შ.) ჰიდროიზოლაცია.
- მინერალური საფუძვლების (კირის, კირ-ცემენტის და ცემენტის ბათქაშები, ცემენტის იატაკები, ცემენტის მოჭიმვები, აირბეტონები და ქაფბეტონები და ა. შ.) ჰიდროიზოლაცია.
- წყალშეუღწევადი, ელასტიური ჰიდროიზოლაციის შექმნა კერამიკული ფილების და ბუნებრივი ქვისგან საფარების დაგებამდე (ლენტასთან Knauf Hidro Protect და ფილების წებოებთან, მაგალითად, Bau und Fliesenkleber, Flexkleber, Flexkleber Extra ერთად), და ასევე თბილი იატაკების და კედლების მოწყობისას.

ტექნიკური მახასიათებლები

- ჰიდროიზოლაციის ფენის საერთო სისქე:
- ტენიან მდგომარეობაში ~ 1,1 მმ
- გაშრომის შემდეგ ~ 0,5 მმ
- გაშრობის დრო (ტემპერატურაზე +20°C და ჰაერის ტენიანობისას 50%)

  ფენების დატანას შორის: არანაკლებ 3 სთ.

  ფილების დაგებამდე: არანაკლებ 12 სთ.
- თერმომდგრადობა გაშრობის შემდეგ: +20°C-დან +80°C-მდე
- ხარჯი 1 მ²-ზე (ერთი ფენა):

  გლუვი საფუძველებისთვის (მაგალითად, თაბაშირმუყაო) -0.25-0.3 კგ / მ²

  უხეში, ფოროვანი საფუძველებისთვის (მაგ., ბეტონი) - 0.3-0.45 კგ/მ²

Knauf Hidro Protect

ლატექსის ჰიდროიზოლაცია

ზედაპირის მომზადება

საფუძველი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მშრალი, გაწმენდილი ზეთისგან, ცხიმისგან, გამყოფი ფენებისგან, მტვრისა და ლაქის, საღებავის ცალკეული არამყარი ნაწილებისგან, ხსნარის ნარჩენებისგან. ბზარები და ნაკერები უნდა შეიფითხნოს. საფუძვლის უსწორობები არ შეიძლება გასწორდეს ჰიდროიზოლაციით. ჰიდროიზოლაციის დატანამდე ისინი უნდა გასწორდეს ფითხით. თაბაშირის ზედაპირები - ფითხით Knauf Fugenfuller, ცემენტის საფუძვლები - ფითხით Knauf Fassadenspachtel ცემენტის. სუსტად და ზომიერად შემწოვი საფუძვლები, როგორიცაა აირბეტონი, უნდა დამუშავდეს გრუნტით Knauf Grundiermittel, რომელიც უნდა გაზავდეს წყალში შეფარდებით 1:3. ამავე მიზნისთვის დასაშვებია გამოიყენოს თავად ჰიდროიზოლაცია Knauf Hidro Protect, რომელიც უნდა გაზავდეს წყალთან შეფარდებით 1:4. ჰიდროიზოლაციის დატანამდე უნდა გამოირიცხოს ტენის კაპილარული შეღწევა საფუძველში, ნარჩენი ტენის შემცველობა ცემენტის მოჭიმვებში უნდა იყოს არაუმეტეს 2%, თაბაშირის მოჭიმვებში - არაუმეტეს 0.5%, ბათქაშებში - არაუმეტეს 1%, ხოლოდ გათბობიან საფუძველებში - არაუმეტეს 0.3%.

რეკომენდაციები

- ჰიდროიზოლაციის Knauf Hidro Protect დატანა ხდება გარემოს და საფუძვლის ტემპერატურაზე არანაკლებ +5°C და არაუმეტეს +25°C.
- დაუშვებელია ჰიდროიზოლაციის Knauf Hidro Protect შერევა სხვა ნივთიერებებთან (წყლის გარდა).
- ჰიდროიზოლაციის Knauf Hidro Protect დატანა საფუძველზე ყოველთვის ხდება ტენის ზემოქმედების მხრიდან.
- არ დააზიანოთ საიზოლაციო ფენა, მოერიდეთ საგნების არსებული ბასრი კიდეების ზემოქმედებას მასზე. Knauf Hidro Protect არ გამოიყენება ღია სამუშაო ზედაპირის სახით, თუ არსებობს მექანიკური დაზიანების საშიშროება.
- ფილების მიწებება უნდა მოხდეს ისეთი წებოებით, რომლებიც არ შეიცავენ გამხსნელებს.
- სამუშაოების შესრულების დასრულებისთანავე ინსტრუმენტები გარეცხეთ წყლით. გამშრალი მასალის მოცილება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

რეკომენდაციები

მომზადება
ჰიდროიზოლაცია Knauf Hidro Protect მზად არის გამოყენებისთვის. გამოყენებამდე მოურიეთ.

დატანა
ჰიდროიზოლაციის Knauf Hidro Protect დატანა ხდება მთელს ზედაპირზე მინიმუმ ორ ფენად, გაუზავებელი სახით, ფუნჯით, ჯაგრისით ან ლილვაკით, სრულად გამშრალ დაგრუნტულ საფუძველზე. დატანა ხდება თანაბარი თხელი ფენის სახით, და უნდა დაცული იყოს ერთ ფენაზე რეკომენდირებული ხარჯი. ნებისმიერ ადგილზე საფარის საერთო სისქე არ უნდა აღემატებოდეს იმ ოდენობას, რომელიც მითითებულია ნაწილში "ტექნიკური მახასიათებლები".
კედლების, კედლების და იატაკების შეპირაპირების ადგილები წინასწარ უნდა დამუშავდეს მასალით Knauf Hidro Protect და ჰიდროიზოლაციის ჯერ კიდევ სველ ფენაში უნდა დაიდოს საიზოლაციო ლენტი, ფითხით გასწორდეს ლენტის ბადიანი ბაზიდან გამოსული ჰიდროიზოლაცია. თვითწებოვანი საიზოლაციო ლენტის გამოყენებისას ის იდება ჰიდროიზოლაციის გამშრალ პირველ საიზოლაციო ფენაზე მეორე ფენის დატანამდე. იატაკში არსებული მილსადენები და განშტოებები ასევე უნდა იზოლირებულ იქნას შემამჭიდროველი მანჟეტით. ჰიდროიზოლაციის პირველი საიზოლაციო ფენის დატანა ხდება მთელ დასამუშავებელ ზედაპირზე, გამოტოვებული ადგილების გარეშე. მეორე და, საჭიროებისას, მესამე გენის დატანა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად გაშრება წინა ფენა. დალოდების მინიმალური ვადა შეადგენს დაახლოებით 3 საათს (ტემპერატურაზე +20°C და ჰაერის ტენიანობისას 50%). უფრო მაღალი ტენიანობისას და უფრო დაბალი ტემპერატურისას გაშრობის დრო შეიძლება გაიზარდოს. სამი ფენის დატანა რეკომენდირებულია ფოროვანი საფუძველებისთვის. უნდა დაცულ იქნას მასალის ხარჯის მინიმალური ოდენობები - ჰიდროიზოლაციის სქელი ფენა ძალიან ნელა შრება, ამიტომ უნდა დატანილ იქნას რამოდენიმე თხელი ფენა, ახალი ფენის დატანამდე წინა ფენის სრულად გაშრობის პირობით. კერამიკული ფილების მიწებება დასაშვებია მხოლოდ ჰიდროიზოლაციის გამშრალ ფენაზე, მაგრამ სულ მცირე ბოლო ფენის დატანიდან 12 საათის შემდეგ (ტემპერატურაზე +20°C და ჰაერის ტენიანობისას 50%). ფილების მიწებება ხდება ფილების წებოთი, და წებოს ფენის რეკომენდირებული სისქის დაცვით - არაუმეტეს 5 მმ. ჰიდროიზოლაციით დამუშავებულ ზედაპირზე ფილის დადებისას ფილების გვერდის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 33 სმ. მზა დისპერსიული ფილების წებოები, გაშრობის ხანგრძლივი დროის გამო, არ გამოდგება ჰიდროიზოლაციაზე Knauf Hidro Protect დატანისთვის (ფილა „დაცურავს").
გამოყენების შეზღუდვები
დაუშვებელია ჰიდროიზოლაციის Knauf Hidro Protect გამოყენება დამდგარი წყლის მუდმივი დატვირთვისას, მაგალითად, სასმელი წყლის ავზებში, ჭებში, საცურაო აუზებში და ა. შ.

ინსტრუმენტები
- ფითხი ლითონის ფართე (სიგანით 200-300 მმ).
- ფითხი ლითონის გარე და შიდა კუთხეებისთვის
- სახეხი საპრიალებელი ბადით მშრალი შეფითხნული ზედაპირის გახეხვისთვის.
- ფუნჯი საქნევი ან „მაკლოვიცა"
- ლილვაკი

დაფასოება და შენახვა
მასალის დაფასოება ხდება 6 კგ.-იან სათლებში.
შენახვა: 12 თვემდე წარმოების თარიღიდან პალეტებზე დასაწყობების შემთხვევაში, დაბალი ტენიანობის პირობებში, ორიგინალურ შეფუთვაში დაზიანების გარეშე.
მოერიდეთ გაყინვას!

მასალის ხარჯი

- Knauf Hidro Protect
- ხარჯი 1 მ²-ზე (ერთი ფენა):
- გლუვი საფუძველებისთვის (მაგალითად, თაბაშირმუყაო) -0.25-0.3 კგ/მ²
- უხეში, ფოროვანი საფუძველებისთვის (მაგალითად, ბეტონი) - 0.3-0.45 კგ/მ²
- ერთი სათლი (5 კგ) საკმარისია 3.5-5.5 კვ.მ. ზედაპირის დამუშავებისთვის.

უსაფრთხოების ზომები
მასალის თვალებში მოხვედრისას დაიბანეთ თვალები ჭარბი რაოდენობის წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. მასალა შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

ტელ.: +995 32 224 25 02/03

www.knauf.ge

info@knauf.ge

კნაუფ გიპს თბილისი

თბილისი 0182, ქიზიყის ქ. 17

მწარმოებელი იტოვებს უფლებას შეიტანოს ტექნიკური ცვლილებები. მოცემული მომენტისთვის ძალაშია ფაქტიური გამოცემა. ჩვენი გარანტია ეხება მხოლოდ ჩვენი მასალების ხარისხს. გაზავების და ხარჯის მონაცემები მიეკუთვნება ექსპერიმენტულ კატეგორიას და ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს პირობების ცვლილების შემთხვევაში. ყველა უფლება დაცულია. შეცვლა, თავიდან გამოცემა, და ასევე ფოტომექანიკური ან ელექტრონული კვლავწარმოება, მათ შორის შემოკლებული სახით, საჭიროებს ფირმა Knauf Gips SRL-ს (ქ. ბელცი, შტეფან ჩელ მარეს ქუჩა 178) ნებართვას.

კნაუფის სისტემების კონსტრუქციული, სტრატეგიული და სამშენებლო - ფიზიკური თვისებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კნაუფის ფირმის მასალების გამოყენებისას ფირმა კნაუფის მიერ რეკომენდირებული პროდუქციით.